

სსიპ კოლეჯი „მოდუს“-ის 2020 წლის ანგარიში

2020 წლის განვითარების სამოქმედო გეგმით სსიპ კოლეჯ „მოდუს“ - ში დაიგეგმა სხვადასხვა აქტივობების განხორციელება შვიდი სტრატეგიული მიზნის ფარგლებში

1. ახალი სტანდარტების დანერგვა სასწავლო პროცესში, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;
2. სწავლა/სწავლების პროცესის დაგეგმვა - განხორციელება, ფორმალური განათლების ყველა დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება;
3. პერსონალის განვითარება/კვალიფიკაციის ამაღლება, სრაფად ცვლადი გარემოს შესაბამისად
4. ინსტიტუციური განვითარება სწრაფად ცვლადი გარემოს შესაბამისად;
5. ფინანსური მდგრადობის გაზრდის უზრუნველყოფა;
6. ადგილობრივი და საერთაშორისო სასწავლო-სამეწარმეო სისტემის შექმნა (არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მექანიზმების დანერგვა);
7. პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა რეგიონში

განხორციელებული აქტივობების ღწერა:

1. ახალ სტანდარტებთან კოლეჯის რეგულაციების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გადაიხედა კოლეჯში არსებული სასწავლო რეგულაციები და შევიდა ცვლილებები, კონკრეტულად შემუშავდა - მისია , ხედვა ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგია, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია, კვალიფიკაციის მინიჭების ვალიდურობის გაუმჯობესებული მექანიზმები, ასევე ცვლილებები შევიდა კოლეჯის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში და სხვა სასწავლო რეგულაციებში.
2. **სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით**, კოლეჯში განვითარდა სასწავლო პროცესის მონიტორინგის სისტემა, განხორციელდა არსებული პროფესიული პროგრამების მონიტორინგი. ასევე, წინასწარ დამტკიცებული კითხვარების გამოყენებით, სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების მიერ, დამტკიცებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად, განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა და მათი ინტერესების გამოვლენა. შედეგები და რეკომენდაციები ასახულია მიმდინარე ანგარიშებში, კოლეჯში ხარისხის განვითარების ციკლის შესაბამისად, ხდება შიდა მონიტორინგის შედეგების ანალიზი, გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა. სწორედ ამ მოცემულობის შედეგად, საანგარიშო პერიოდში კოლეჯის არსებული და ახალი ადამიანური რესურსების გადამზადების მიზნით, დაწესებულების ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების მიერ ჩატარდა შიდა ტრენინგები კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტუმენტების მომზადებასთან დაკავშირებით (6 ონლაინ ტრენინგი), ასევე, ახალი რეალობიდან გამომდინარე, საჭირო გახდა

მასწავლებლების გადამზადება ონაღინ სწავლებასთან დაკავშირებით, კერძოდ, თიშის პროგრამაში მუშაობის მიზნით.

3. **2020 წლის განმავლობაში კოლეჯმა პროგრამული ავტორიზაციით** დაიმატა 13 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის 2 ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის მოდულებით. **საბჭოს გადაწყვეტილებები:** N2 და N3 (4 თებერვალი, 2020 წელი); N656189, N656191, N656579 (3 აგვისტო, 2020 წელი), N1192213 (11 დეკემბერი, 2020); ამჟამად კოლეჯში ფუნქციონირებს 15 დასახელების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთაგან მიღება განხორციელდა 12 საგანმანათლებლო პროგრამაზე (მათ შორის ორ ინტეგრირებულზე), შესაბამისად, დაწესებულებაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 20 ჯგუფში. 2020 წლის მიღებაზე კოლეჯმა მიიღო **230** პროფესიული სტუდენტი (73 ქალი და 157 კაცი). კოლეჯის ძველი, მიმდინარე ჯგუფების სტუდენტების ჩათვლით პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა შეადგენს 260 სტუდენტს. (93 ქალი და 167 მამაკაცი). რომელთაგან, ამჟამინდელი მონაცემებით, 14 სსსმ პირია.
4. **საანგარიშო პერიოდში კოლეჯში განხორციელდა პროფესიული მომზადების პროგრამების** შემუშავება და დანერგვა; ამ ეტაპზე კოლეჯს მოპოვებული აქვს უფლება განახორციელოს ოთხი მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა: „ელექტრონული მოწყობილობებისა და დანადგარების ელექტრიკოსი“, „დეკორატიულ მცენარეთა სხვლა-ფორმირება“, „ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება-კერვა“ და „მამაკაცის ზედა პერანგისა და შარვლის კონსტრუირება - კერვა“. თითოეული პროგრამა შემუშავებულია შრომითი ბაზრის მოთხოვნების და პარტნიორი ორგანიზაციების („ა(ა)იპ რუსთავსერვის ცენტრი; შპს კანო; შპს ბაჭურა; შპს რუსთავედემენ სტუდიო) საჭიროებების გათვალისწინებით. 2020 წელს კოლეჯში სწავლა დაასრულა „კონსულტანტ-გამყიდველის“ მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების ორმა ჯგუფმა - 30 მსმენელით, რომელთა 50%-ზე მეტი დასაქმებულია. ამ ეტაპზე კოლეჯს მოკლევადიან პროგრამებზე ჰყავს 60 აქტიური მსმენელი, თუმცა პანდემიის გამო 30 სტუდენტი ჩარიცხულია და ელოდება სწავლის დაწყებას, ხოლო 30 სტუდენტისთვის სწავლება მიმდინარეობს ე.წ. შერეული მეთოდით - დისტანციური სწავლება და პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკული სწავლება.
5. **ადამიანური რესურსების ოპტიმიზაციის მიზნით**, კოლეჯში განხორციელდა პროფესიული მასწავლებლების შერჩევა. კონკურსის შედეგად ადამიანური რესურსის სახით დაწესებულებას დაემატა 35 პროფესიული მასწავლებელი და საერთო ჯამში ამჟამად კოლეჯში ხელშეკრულების საფუძველზე მოღვაწეობს 62 პროფესიული მასწავლებელი. ახალი სტანდარტის შესაბამისად განისაზღვრა პროგრამის ხელმძღვანელის უფლება მოვალეობები. ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 24 სექტემბრის N889415 წერილით დამტკიცდა შეთანხმება, რომლის მიხედვით სსიპ კოლეჯ მოდუსს, 2020 წლის 01 ოქტომბრიდან დაემატა 2 ახალი პოზიცია - „სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტი“ და „საერთაშორისო პარტნიორობის განვითარების მენეჯერი“ და გაუქმდა ბიბლიოთეკარის და რეესტრის წარმოების სპეციალისტის პოზიციები.
6. 2020 წელს კოლეჯი სრულად აღიჭურვა 13 პროგრამის შესაბამისი **მატერიალურ-ტექნიკური ბაზით** და სასწავლო რესურსებით, მოეწყო სასწავლო ლაბორატორია ზოგადი ინტეგრირებული მოდულების სწავლებისთვის.
7. **განხორციელდა სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების გაფართოება**, შეიქმნა და შესაბამისი სამართლებლივი პროცედურების დაცვით დაფუძნდა პროფესიული პროფესიული სტუდენტური კავშირი, ასევე კოლეჯის ადმინისტრაციულ რგოლს დაემატა შესაბამისი პოზიცია „სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტი“.

8. წარმატებით მუშაობს ადმინისტრაციის კვარტალური ანგარიშების წარდგენისა და შესფასების სისტემა.
9. შემუშავებულია და მოქმედებს თანამშრომელთა, კერძოდ, სასწავლო პროცესში ჩართული პედაგოგების შეფასების სისტემა.
10. განხორციელდა სასწავლო მასალების შერჩევა და შესყიდვა არსებული მიმდინარე პროგრამების ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის სრულად დაკმაყოფილებას, თუმცა პრაქტიკული მუშაობისთვის საჭირო მასალების სრულად შეძენა დროებით შეჩერდა, რადგან ქვეყანაში პანდემიის რთული პერიოდის გამო სწავლება დროებით ძირითადად ონლაინ დისტანციურ რეჟიმში გადავიდა;
11. პანდემიის პერიოდში შექმნილი მდგომარეობის გამო, 2020 წლის მარტში სამინისტროს დავალების საფუძველზე, დაიგეგმა და ჩატარდა სტუდენტთა ციფრულ მოწყობილობებზე ხელმისაწვდომობის კვლევა. მოკვლევის ფარგლებში, 60-მდე სტუდენტთან ჩატარდა სატელეფონო ინტერვიუ, რის ფარგლებშიც მოკვლეული განახლებული პირადი ინფორმაციის და ციფრულ მოწყობილობებზე წვდომის შესახებ ინფორმაციის ასახვა განხორციელდა evet-ის ბაზაში.
12. დისტანციურ სწავლების რეჟიმზე გადასვლის გამო, პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის, სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მიმდინარე წლის განმავლობაში, დაიგეგმა და ჩატარდა 10-მდე ონლაინ სესია.
13. პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაციის პერიოდში, პროფესიულ სასწავლო შესაძლებლობებზე და კარიერის დაგეგმვის სერვისზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ბიზნეს WhatsApp-ის მეშვეობით, დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ ვიდეო კონსულტაცია მიეღოთ. სერვისით 70-მდე პირმა ისარგებლა.
14. განხორციელდა და ჯერ კიდევ მიმდინარეობს რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნების თაობაზე ინფორმაციების მოძიება, დამსაქმებლებთან კომუნიკაციის მექანიზმის, დამსაქმებელთა გამოკითხვის კითხვარის გაუმჯობესება და დამსაქმებელთა საჭიროებების შესწავლა; მიმდინარე წელს, შემუშავდა 3 ელექტრონული კითხვარი და სოცილური ქსელის მეშვეობით, 2000-მდე პროფესიული განათლებით დაინტერესებულმა პირმა დაფიქსირა პერსონალური ინტერესი / მოსაზრება.
15. პრაქტიკის ობიექტების მოძიების და დამსაქმებლებთან ურთიერთობის გაძლიერების მიზნით, საანგარიშო პერიოდში კოლეჯის პარტნიორთა სიას შეემატა ახალი წარმომადგენლები : შპს „გასტრონომი“ შპს „დელფუდი“, შპს „ასკილი“.
16. გადაიხედა დაწესებულების ვებ-გვერდი და მოვიდა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში.
17. განხორციელდა ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა: კოლეჯი „მოდუსი“ ჩაერთო და აქტიურად თანამშრომლობს CISCO-ს აკადემიის ქსელთან www.netacad.com, ასევე წარმატებით მუშაობს ინოვაციურ პროექტებზე FAB LAB მოდუსი.
18. კოლეჯმა დაიწყო საზღვარგარეთ არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა, გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ლიტვისა და ლიეტუას პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

ნაწილობრივ განხორციელებული აქტივობების აღწერა:

1. მიუხედავად იმისა, რომ ახლი სტანდარტის შესაბამისად, კოლეჯს აქვს დამატებული ადმინისტრაციული პოზიცია „სტუდენტური სერვისების მხარდაჭერა“ შესაბამისი უფლება - მოვალეობებით, ასევე კოლეჯში არსებობს „პროფესიული სტუდენტური კავშირი“ და ხორციელდება სტუდენტური აქტივობები, მაინც საჭიროა **სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების გაფართოება**, კერძოდ, სტუდენტის/მსმენელის ინტერესების გამოვლენის მოზონით, შემუშავებული გამოკითხვის ფორმების დახვეწა, რათა მოხდეს გამოკითხვის შედეგების გამოყენება ახალი სტუდენტური სერვისების დანერგვისთვის;
2. კოლეჯმა დაიწყო საზღვარგარეთ არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის, თუმცა სამომავლოდ უნდა დაიგეგმოს გაცვლითი პროექტების ამუშავება.
3. კოლეჯმა მოახდინა სასწავლო რეგულაციების ადაფტირება ახალ სტანდარტებთან მიმართებაში, თუმცა საჭიროა სწავლების სტანდარტების საერთაშორისო დონესთან უფრო დაახლოება.
4. ადმინისტრაციული პერსონალის საჭიროებების დადგენა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა - ადმინისტრაციული პერსონალის სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გეგმის შემუშავება.

განუხორციელებელი აქტივობები:

1. ადგილობრივი და საერთაშორისო სასწავლო-სამეწარმეო სისტემის შექმნა.
2. სასწავლო და ადმინისტრაციული მიზნებისთვის ფართის დამატება.
3. არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მექანიზმების ამუშავება, რაც ახალი სტანდარტით მოითხოვს უფლების მოპოვებას;
4. დუალური სწავლების დანერგვა, დუალური პროგრამების შემუშავება, რასაც განსახორციელებლად სჭირდება მარნეულის ფილიალის გახსნა, რადგან ძირითადად სოფლის მეურნეობის პროექტებზეა ორიენტირებული;
5. ფინანსური ანალიზის დოკუმენტის მომზადება - გამომდინარე იქიდან, რომ საანგარიშო წლის ფინანსური ანგარიშგების ვადები განსაზღვრება მომდევნო წლის იანვარი - მარტის პერიოდით, ფინანსური ანალიზის დოკუმენტიც ამ პერიოდისთვის მზადდება.
6. სკოლის პროექტის ფარგლებში სკოლებში საორიენტაციო მოკლევადიანი სასწავლო კურსების განხორციელება, სკოლის პროექტების განხორციელება ქვემო ქართლის რეგიონის მაშტაბით - პანდემიის გამო აღნიშნული პროექტების განხორციელება შეჩერებულია.
7. სტუდენტური აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება - არჩევნების ჩატარება - ვერ შედგა არჩევნები, გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯებში მიმდინარეობდა დისტანციური სწავლება პანდემიის გამო.

დაწესებულების სიტუაციური ანალიზი /SWOT ანალიზი/:

1. ძლიერი მხარეები:

- გარემონტებული ინფრასტრუქტურა, აღჭურვილი სახელოსნოები 13 პროფესიული პროგრამის, მათ შორის ზოგადი მოდულებით ინტეგრირებული პროგრამების ფარგლებში;
- მოდულარული პროგრამების დანერგვის და განხორციელების შესაძლებლობა;
- დუალური სწავლების დანერგვის შესაძლებლობა;
- მომზადება/ გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობა (მათ შორის ონლაინ სწავლებით);
- ახალი სტანდარტების შესაბამისად ადაფტირებული მართვისა და ხარისხის კონტროლის მექანიზმების დანერგვის და გაუმჯობესების შესაძლებლობა;
- ავტორიზებული პროგრამების (მათ შორის მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების) საბიუჯეტო დაფინანსება;
- ადაპტირებული სასწავლო გარემო (ლიფტი, სველი წერტილები);
- კომპეტენტური პროფესიული განათლების მასწავლებლები;
- მოტივირებული ადმინისტრაციული პერსონალი;
- გარემოსთან ადაპტირებული გუნდი, რაც დასტურდება პანდემიის პირობებში მაქსიმალურად შენარჩუნებული სასწავლო პროცესით;
- დისტანციური და შერეული სწავლების ფორმების მყისიერი ამუშავების შესაძლებლობა გამოცდილი ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით;
- დროისა და დაკავებული რესურსის ეფექტური განაწილება;
- პრესტიჟულობა/ჩვენი ორგანიზაციის კიდევ უფრო მზარდი იმიჯი;
- დამსაქმებელთა ფართო სპექტრი;
- ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის შესაძლებლობა;
- ოპერირების არიალის გაფართოების შესაძლებლობა (მარნეულის ფილიალი);
- განახლებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობა;
- საერთაშორისო პროექტების ფარგლებში გაცვლითი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობა.
- ადგილობრივი სასწავლო-სამეწარმეო სისტემის შექმნის შესაძლებლობა;

2. სუსტი მხარეები:

შიდა ნეგატიური ასპექტები:

- ელექტრონული ბაზების (Ewet.emis.ge) ხარვეზები;
- კვების ობიექტის არარსებობა;
- საერთო საცხოვრებლის არ არსებობა;

3. შესაძლებლობები: გარე პოზიტიური ფაქტორები;

- ბაზრის ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში ახალი პროფესიების დამატება - ახალი ჩარჩო - დოკუმენტების შემუშავება;
- პროფესიული მასწავლებლის მოტივაციის გაზრდა, რაც უზრუნველყოფს კვალიფიციური პროფესიული კადრების გამოჩენას ბაზარზე;
- სტუდენტთა მოტივაციის ზრდა;
- რეგიონალური მხარდაჭერა;
- დამსაქმებელთა მხარდაჭერა და ჩართულობა;
- დამსაქმებლებისა და საზოგადოების საჭიროებების არსებობა;
- სტუდენტებისა და პერსონალის თვითრეალიზაციის ხელშეწყობა;
- ახალი სამიზნე ჯგუფების მოზიდვა;
- სხვადასხვა პროექტებში, მათ შორის საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობა,
- ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა;
- ფილიალის გახსნა მარნეულში.

4. საფრთხეები: გარე ნეგატიური ფაქტორები;

- პანდემია და ან სხვა გაუთვალისწინებელი პირობები, რაც გარკვეულწილად შეაფერხებს სასწავლო პროცესს;
- ეკონომიკური განვითარების დაბალი მაჩვენებელი;
- ცვლადი გარემო/შრომის ბაზარი, დასაქმება და სხვ/;
- შრომის ბაზართან კავშირის სისუსტე, რის გამოც დაბალია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევის არამდგრადი მონაცემები, რაც აფერხებს პროფესიული კოლეჯის მიერ კონკურენტული სამუშაო ძალით შრომის ბაზრის მომარაგების გრძელვადიანი გეგმის შემუშავებას;
- შრომის ბაზრის სწრაფი განვითარება, მოთხოვნა - მიწოდებაში არაჰარმონიულობა;
- ტექნოლოგიური განვითარება, პროფესიულ კადრებზე მზარდი მოთხოვნები.

რეკომენდაცია: სასურველია 2020 -2021საანგარიშო პერიოდში კოლეჯის სამოქმედო გეგმით განუხორციელებელი აქტივობების განხორციელებაზე ზრუნვა, კერძოდ, ადგილობრივი და საერთაშორისო სასწავლო-სამეწარმეო სისტემის შექმნა, არაფორმალური აღიარების უფლებების მოპოვება, არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მექანიზმების ამუშავება, სასწავლო და ადმინისტრაციული მიზნებისთვის ფართის დამატება და დუალური პროგრამების დანერგვა მარნეულის ფილიალში, საზღვარგარეთ არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაღრმავება და ასევე აუცილებელია კოლეჯში კოლეჯში პანდემიის გამო შეფერხებული აქტივობების განახლებასა და განვითარებაზე ზრუნვა.